თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3816390

ნომერი: AR1574601

თარიღი : 02.02.2018

გაცემის თარიღი : 16.02.2018

გაცნობის თარიღი : 16.02.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 76ბ , (ნაკვეთი N039/032) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ბეიტრიშვილი პ/ნ 01024031682
- თბილისი ლვოვის I შეს. N 6

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი #AR1574601 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, #01.14.03.039.055 საკადასტრო ერთეულზე მშენებლობასთან დაკავშირებით ახალი ადმინისტრაციულ წარმოების დაწყებას და წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2017 წლის 29 მაისის #3284506 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ვაჟა–ფშაველას გამზირი #76ბ–ში (ნაკვ#039/032), ამხანაგობა ,,ვაჟა–ფშაველა 2007"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.14.03.039.055) შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.

2017 წლის 27 დეკემბრის #3753294 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 29 მაისის #3284506 ბრძანებაში, კერძოდ მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, #01.14.03.039.055 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით დაადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), დადგენილი წესით, მათი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდების მითითების შემთხვევაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ სამშენებლო სამართალდარღვევების გამოვლენის და მათზე კანონით დადგენილი მოქმედებების გატარების მოთხოვნის მიზნით უნდა მიმართოთ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს. (მის. ჟ. შარტავას ქ. #7)